სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

PMCG Research

აპრილი 2022

2022 წლის აპრილში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **141 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **231 ლარი.** საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა თებერვალში **101 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა მარტში **413 ლარი** შეადგინა. თბილისსა და კახეთში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 493 ლარი შეადგინა, გურიაში - 398, ხოლო აჭარაში - 390 ლარი.



გრაფიკი 1: 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში).

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2022 წლის აპრილში, 2022 წლის მარტთან შედარებით, 2%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 1.7%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 6.5%-ით შემცირდა.

2022 წლის აპრილში, 2021 წლის აპრილთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 7.7%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 6.3%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 15.9%-ით გაიზარდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2022 მარ/ 2022 თებ	2022 მარ/ 2021 მარ	2022 მარ/ 2022 თებ	2022 მარ/ 2021 მარ	2022 მარ/ 2022 თებ	2022 მარ/ 2021 მარ
კახეთი	3.9%	4.9%	5.2%	-1.3%	2.6%	12.2%
იმერეთი	-1.4%	5.4%	0.6%	6.7%	-4.7%	4.1%
გურია	9.4%	2.5%	9.4%	-27.6%	-	105.7%
ქვემო ქართლი	-	13.4%	-	13.4%	-	-
აჭარა	6.2%	15.5%	9.0%	16.2%	-1.5%	14.0%
რაჭა	40.7%	52.6%	-	-	40.7%	52.6%
შიდა ქართლი	-0.9%	2.1%	9.5%	7.5%	-4.1%	-5.5%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	3.0%	-5.4%	8.5%	-11.6%	-3.2%	5.5%
სამცხე-ჯავახეთი	4.3%	9.1%	-0.2%	21.3%	7.2%	-0.8%
მცხეთა-მთიანეთი	-14.1%	2.7%	-16.2%	-0.8%	-11.2%	7.9%
თბილისი	-5.3%	5.1%	-5.0%	2.9%	-7.3%	20.8%
სულ ფასების % ცვლილება	**-2.0%**	**7.7%**	**-1.7%**	**6.3%**	**-6.5%**	**15.9%**

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2022 წლის აპრილში, 2022 წლის მარტის ფასებთან და 2021 წლის აპრილის ფასებთან შედარებით

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.
2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.
3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.